საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-02/105

ქ. ბათუმი 03 მაისი, 2022 წ.

ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/ სპორტული პროექტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ განაცხადის და შესრულების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს N07-01/22, 20.04.2022წ. გადაწყვეტილებით) და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 03 მაისის N442822 სამსახურებრივი ბარათის, ,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 3 მაისის N01-02/104 ბრძანების და ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობებისა და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 3 მაისის N01-10/49 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. **დამტკიცდეს** ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/ სპორტული **პროექტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ განაცხადის და შესრულების ანგარიშის ფორმები** წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად (N1 **დანართი** - პროექტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ განაცხადის ფორმა; N2 **დანართი - პროექტის შესრულების ანგარიშის ფორმა**).
2. **ძალადაკარგულად იქნეს** ცნობილი ,,ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 09 ოქტომბრის N01-02/153 ბრძანება.**
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/
სპორტული პროექტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ განაცხადის და
შესრულების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N 01-02/105 ბრძანების

დანართი N1

ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

(პროექტის ხელმძღვანელის/პასუხისმგებელი პირის

სახელი, გვარი და პირადი ნომერი)

(საკონტაქტო ელ. ფოსტა და მობილ. ნომერი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ ---------- წელს განხორციელებული სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის - „ - - -

,,ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/ სპორტული პროექტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ განაცხადის და შესრულების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N 01-02/105 ბრძანების

დანართი N2

პროექტის შესრულების ანგარიში

(პროგრამული შესრულების ნაწილი)

ა) პროექტის დასახელება და განხორციელების პერიოდი და სამართლებრივი საფუძველი: ----------

(შენიშვნა: სამართლებრივ საფუძვლად უნდა მიეთითოს გამარჯვებული პროექტის დამტკიცების ბრძანება)

ბ) პროექტით გათვალისწინებული პრობლემა და მისაღწევი მიზანი და შესასრულებელი ამოცანები: ----------

გ) პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებისათვის განხორციელებული გზა/გზები: ----------

(შენიშვნა: უნდა გაიწეროს განხორციელებული კონკრეტული ნაბიჯები/აქტივობები იმგვარად, რომ პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: 1. როგორ განახორციელდა პროექტის ამოცანები? 2. ვინ მონაწილეობდა პროექტის განხორციელებაში 3. რა იყო მათი ფუნქციები ამ პროექტში და 4. როგორ შეაფასებდით მათ ჩართულობის ხარისხს).

დ) მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:-

(შენიშვნა: მიუთითეთ პროექტის ძირითადი მომხმარებლები).

ე) პროექტის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია:

	პროექტის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ ინფორმაცია

N	აქტივობის დასახელება და განხორციელების ეტაპები	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	აქტივობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის (მტკიცებულებების) დასახელება
	ეტაპი I							
1								
2								
3								
	ეტაპი II							
1								
2								
3								
	ეტაპი III							
1								
2								
3								
	ეტაპი IV							
1								
2								
3								

შენიშვნა: მიუთითეთ აქტივობის განხორციელების ზუსტი დღე, თვე და წელი, ასევე აქტივობის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი უნდა წარმოადგინოთ დანართ(ებ)ის სახით.

3) პროექტის საბიუჯეტო განაცხადის შესრულების ანგარიში:

	პროექტის საბიუჯეტო განაცხადის შესრულების ანგარიში					
	პროექტის დასახელება - დამტკიცებული პროექტის საერთო ბიუჯეტი (ბსუ-ს ბიუჯეტიდან გასაწევი ხარჯი) -					
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	დახარჯული თანხა, მათ შორის:			მიღებული საბოლოო შედეგის აღწერა	ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი
		ბსუ-ს ბიუჯეტიდან ათვისებული	თანადაფინანსები თან ათვისებული	სულ		
1						
2						
3						
4						
5						
6						

შენიშვნა: ფინანსური საბუთი (ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტი) დანართ(ებ)ის სახით უნდა იქნას წარმოდგენილი.

ზ) განხორციელებული პროექტის შედეგი: ----------

(შენიშვნა: ამ ნაწილში უნდა აღიწეროს ის სავარაუდო ეფექტი ან შედეგი, რაც დადგა წარმოდგენილი პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში. სასურველია შედეგები დაიყოს შემდეგნაირად: ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით; ბ) თვისობრივი მაჩვენებლებით; ასევე სასურველია მიუთითოთ, რა გავლენა იქონია განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე/მიმართულებაზე ან/და სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე და ა.შ.) .

თ) მონიტორინგი: ----------

(შენიშვნა: ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ, თუ როგორი ხდებოდა პროექტის განხორციელების/მიმდინარეობის/შესრულების მონიტორინგი და რა პერიოდულობით).

ი) შეფასება: ----------

(შენიშვნა: ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ ის სავარაუდო კრიტერიუმები (მაჩვენებლები), რომლებმაც განსაზღვრეს თქვენი პროექტის წარმატება.

კ) პროექტის წარმატებით განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორები ან რჩევები და რეკომენდაციები: ----------

(შენიშვნა: ამ ნაწილში უნდა მიუთითოთ პროექტის განხორციელების პროცესის ხელისშემშლელი ფაქტორები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან/და მიუთითოთ სამომავლოდ გაუმჯობესების გზები ან/და რჩევები და რეკომენდაციები).